განკარგულება:**g-81. 81260562**
თარიღი:**25/02/2026**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №6

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა, N69 მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) პირველ სართულზე 30.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ორი წლის ვადით ა(ა)იპ ,,ერთად რეალური ცვლილებებისთვის“ (ს/ნ 401981931) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, ასევე ,,საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-მუხლის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა, N69 მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) პირველ სართულზე 30.00 კვ.მ ფართი გადაეცეს ა(ა)იპ ,,ერთად რეალური ცვლილებებისთვის'' (ს/ნ 401981931) ოფისის ფუნქციონირების მიზნით პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ორი წლის ვადით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე მდებარე ერთი ოთახის - საერთო ფართი 30.00 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით - უსასყიდლო ,,უზუფრუქტი“ ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ,,შშმ პირთა დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრისთვის'' (ს/ნ 44495993) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №81 განკარგულება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი